№ 113
სამშაბათი, 29 მაისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 113
სამშაბათი, 29 მაისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, № 41.
ტფილისი.

გაზეთის დასაგარეგლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

საუთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საქმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—32)

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ „Фармацевтика“

№ 741.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,
კუჯა, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ზიზინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ს. შულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ს. მ. მატიდოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ს. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკეზიჩი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

ს. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოთი:

ნ. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ს. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. მადალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ჯ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ს. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ს. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არგანატაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

პანსიონი

ტერ-სტეფანოვისა

10 ივნისს საგარაკოდ მიდის, მოსწავლეებს ამ თავად იღებენ. მიხეილის ქუჩა, სახლი № 101.

(3—132—2)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: ტიტულიარნი სოვეტნიკობა ნატანების ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსს საბაშვილს. კოლეჟსკი სეკრეტრობა—მიხაილოვის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველს ტატიშვილს, კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ტფილისის სახაზინო პალატის ბუჰგალტერის თანაშემწეს იოსელიანს.

ახალი ამბავი

*** **კვირას, 3 ივნისს, კავკასიის** მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგს მიემგზავრება.

*** **26 მაისს, საღამოთი,** სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას წლიური კრება ჰქონდა, რომელზედაც განხილულ იქმნა საზოგადოების გამგე კომიტეტის მოქმედების ანგარიში გასულ 1900 წლისა და ამასთანავე მოხსენება. ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ 1901 წლის 1 იანვრისათვის სათავად-აზნაურო სკოლაში ყოფილა სულ 597 მოსწავლე, მათ შორის 471 გარედგან მოსიარულე და 126 პანსიონერი. საანგარიშო წელს სკოლას შემოსვლია: ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან 61,056 მან. 14 კაპ., გარედგან მოსიარულე მოწაფეთაგან სწავლის ფასი 2,375 მ., პანსიონერთაგან—14,757 მან. და სხვა-და-სხვა წყაროდგან 766 მან. 60 კაპ., სკოლისა და მასთან არსებულ პანსიონის შესანახად საანგარიშო წელს დახარჯულა 71,809 მან. 72 კაპ. თითო პანსიონერის შე-

ფელეტონი

მასლაათი.

საბანკო კრების პანორამა

„საშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სართველად“.
რუსთაველი

დიდის სიამოვნებით მოვიგონებ ხოლმე,—რა გულის ძგერითა და ჩოჩქოლით მოველოდი, როდის იქმნება მაისი დადგეს და ბანკის კრება დაიწყოს მეთქი. მაისი ხომ უიმისოდაც ვარდ-ბულბულობის თვეა, საშიკო „სეზონია“ და, მაშასადამე, გულის ტრფიალის და სულის აღფრთოვანების დროდ აღიარებულია, მაგრამ ჩემს ლოდინსა და სიხარულს უფრო სხვა მიზეზი იწვევდა. ვინ იქმნება ისეთი უგულო და უსულო, რომ მაისის სიტურფით არ დასტკბეს, მეტადრე როცა ამ სიტურფეს ზედ ერთვის ქართველ ქალის სიკეკლუცისა და სიმშვენიერის ეშხი, მაგრამ—ვიმეორებ—მაშინ ჩემთვის მაისის თვეს სხვა განსაკუთრებული და მიმზიდველი მნიშვნელობა ჰქონდა... და იცითრა?—იმ დროს იწყებოდა საბანკო კრება! ხოლო მაშინდელი კრება ჩემთვის წარმოადგენდა ისეთს დიადს საეროვნო სურათს, რომელიც უნებლიედ ჰხიბლავდა და ატოკებდა სულსა და გულსა. მთელ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა ჩვენს დედა-ქალაქში იკრიბებოდა, დაბა და სოფელი ტფილისში მოეშურებოდა. უნდა გენახათ, რა თვალის წარმტაცი სანახავი იყო ეს ამოდენა ქართველობა, რომელსაც საქვეყნო საქმისთვის თავი ერთად მოეყარა. ღმერთო, რა ძალუმად სჩქეფდა სიცოცხლე და რა ღონივრად სცემდა ცხოვრების მაჯა იმ ნეტარხსენებულ დროს!..

უნდა შებძანებულიყავით თეატრის დარბაზში და თვალი გადაგეელოთ კრებისათვის,—უკეთესს სანახავს ვერას ნახავდით. იქ, იმ დარბაზში, მთელი თავად-აზნაურობა, ენერგიით და სიცოცხლით სავსე, უშიშრად და თავისუფლად ბჭობდა საშვილი-შვილო საქმეებს, ძველებურად გზას ჰკაფავდა მომავალისთვის. ასეთი კრება მხოლოდ ჩვენმა წარსულმა თუ იცოდა. ჟამითი-ჟამად, როცა საჭიროება მოითხოვდა, ერის წარმომადგენელნი იკრიბებოდნენ სამშობლოს და ქვეყნის საპატრონოდ. მაგრამ წარსულს თავი დავანებოთ. ახლა შორეული წარსულის პატივცემა სასაცილოდ მიაჩნიათ, „კონსერვატორობად“ და „რეტროგრადობათ“ სთვლიან!.. დიდი გავლენა იქონიეს უწინდელ ბანკის კრებებმა ჩვენს მიძინებულ და უსიცოცხლო ცხოვრებაზედ, დიდი სიფხიზლე, თვითცნობიერება შეჰმატეს და ცხოველ-მყოფელ წამლად მოევლინეს, მაგრამ... თქმა მეძნელება, რადგანაც ხსენება გულს მიწყლავს...

ჩვენმა აღვირ-აწყვეტილმა კადნიერებამ და უწვრთნელობამ ბოლო მოუღო იმ დიადს კრებას, დაამხო ჩვენი სასურველი ფორუმი, ჩვენი დარბაზი, სადაც აღფრთოვანებული საზოგადო აზრი ვარჯიშობდა.. მეტად დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა და ძალა ჰქონდა მაშინდელ კრებას. იგი კრება საუკეთესო აუდიუტორია და სკოლა იყო. მეზობელნიც-კი შურის თვალით შემოგვნატროდნენ და განცვიფრებულნი იყვნენ,—თუ რა ნიჭსა და უნარს იჩენენ ქართლ-კახნი საქვეყნო საქმის მართვისასაო. სამწუხაროდ, ჩვენმა საწუთრომ მალე გვიმუხთლა და სიხარული მალე ჩაგვამწარა. მაგრამ ჩვენვე განვარისხეთ ცა, ჩვენვე წავწყმინდეთ ქვეყანა. მოიგონეთ ოპოზიციის საგმირო საქმენი, წარმოიდგინეთ იმის ლაღი თარეშობა და ნავარდობა... საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ თვით დარბაზში მუშტსა და იარაღზედ დაიწყეს ყურება. ინტელიგენციის პროტესტმა ვერა გააწყო-რა, პრესის რისხვა და კრულვა უდაბნოსა შინა ღაღადისად დარჩა. რა პრესა, როდესაც იმის წარმომადგენელნი პოლიციის ძალით კინალამ კრებიდგან არ განდევნეს და კიდეც არ გატყიპეს... საფათერაკო დრო დადგა. ტეროორი გამეფდა. კიდევ მადლობა უფალს, რომ სრულიად კრება არ მოგვისპეს და „რწმუნებულნი“ დაგვიყენეს..

***

გათავდა, წარსულ საუკუნეს ჩაებარა ჩვენი ძველი საბანკო კრება. მოვა დრო და პირუთვნელი ისტორია აღნიშნავს, რა გავლენა იქონია იმ კრებამ ჩვენს ცხოვრებაზედ, რა კარგი და ავი მოუტანა ჩვენს ეროვნებას, ჩვენს ვინაობას. ახლა აწინდელი კრება უნდა დავიყენოთ თვალ-წინ, იგი უნდა გავსინჯოთ და განვიხილოთ. გატეხილს მოგახსენებთ, რომ ყოველივე ეს სახალისო როდია: „რწმუნებულთა“ კრება აღარ იზიდავს სულსა და გულსა და ამ კრებას საზოგადოებაც თვალყურს აღარ ათხოვებს, აღარ აპყრობს. მიზეზი ცხადია: აწინდელს კრებას ის საზოგადო სახე და ფიზიონომია როდი-ღა აქვს, რომელიც წინად ჰქონდა. ეს კრება ვიწრო ფარგლით შემოიზღუდეს, უწინდელი ფართო და ვრცელი ასპარეზი მოუსპეს. ასე გასინჯეთ, გარეშე კაცს, ყველა შეგნებულს და ქვეყნის გულ-შემატკივარს ქართველს, ნებაც-კი არ ეძლევა რწმუნებულთა კრებაზედ დასწროს. რწმუნებული უნდა იყო, რომ დარბაზში შეხვიდე და კრების მოქმედებას თვალი ადევნო, მონაწილეობა მიიღო, საქმის გამო სთქვა რამე. მოდი ამის შემდეგ და საყვედური გამოაცხადე,—ასე გულ-გრილად რად ეკკევა საზოგადოება ბანკის კრებასაო!... მაშ რა იქმნება, როცა ამ კრებას ჩინეთის კედელი შემოავლეს და ბრძანეს, უცხო და გარეშე არ შეუშვათო.

მხოლოდ პრესის წარმომადგენლებს უფლება შერჩათ კრებაზე იაროს, მაგრამ ისინიც უხალისოდ დაიარებიან. სჩანს, რომ აწინდელ კრებაზედ იმათაც გული აიცრუვეს. ყოველ შემთხვევაში, ასე უსიცოცხლოდ და უგრძნობლად პრესა საბანკო კრებას თავისს დღეში არ ეკიდებოდა. რას იზამთ, როცა თვით საგანი კრებისა გულს აღარ ჰხვდება?!. აბა ახლა გაზეთები გადასინჯეთ და სარეპორტიორო ანგარიში წაიკითხეთ... ასე მშრალად, ასე უგემურად, ასე უხალისოდ შედგენილი სარეპორტიორო აღწერა საბანკო კრებისა არ მი-

სანახად დახარჯულა 205 მან. 78 კაპ. კრების თავმჯდომარემ ნ. ზ. ცხვედაძემ განაცხადა, რომ ვერაზედ, სადაც ამ ჟამად სკოლის შენობას ვაგებთ, საჭიროა 300 საჟ. მიწის მომატება და გთხოვთ ნება მოგვცეთ ამ მიწას შეძენისაო. კ. ი. ყავრიშვილმა განაცხადა, რომ თუ ესთხოვთ, ამ მიწას პატრონი ისეც დაგვითმობსო. კრებამ ამოირჩია თავ. ვ. ს. მიქელაძე და ი. გ. თულაშვილი და მიანდო მათ ზემოხსენებულ მიწის პატრონთან მოლაპარაკება. კრებამ დაამტკიცა აგრეთვე გამგე კომიტეტის დადგენილება, რომლითაც ამ სკოლის მასწავლებლად ნამყოფს მთავარელიშვილს დაენიშნა პენსია 500 მან. წელიწადში და მეორე მასწავლებლის, განსვენებულ ჯაჯანაშვილის ქვრივს—300 მან. დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხადა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონს, ვ. დ. გაბაშვილს, ბ-ნ ქართველიშვილსა და კ. ი. ყავრიშვილს სახლის აშენების საქმეში დახმარებისათვის.

*** კვირას, 27 მაისს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში ტფილისის სახალხო კითხვათა კომისიის წევრთა კრება მოხდა. კრებამ განიხილა რუსულისა, ქართულისა და სომხურ სექციების გასულ 1900 წლის მოქმედების ანგარიში და დაამტკიცა. შემდეგ სექციების წევრთა არჩევნები მოხდა. ქართულ სექციის წევრებად არჩეულ იქმნენ ქ-ნნი ს. მ. დემურიანი და თ. ქუჩუკაშვილი, ბ-ნნი: გოცირიძე, ბესელიძე, რცხილაძე, თავ. ბარათაშვილი, ქართველიშვილი და თუშმელიშვილი.

*** 25 და 26 მაისს გამართულ „ქ. შ. წერა-კითვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ ბაზრობა-სეირნობას ხალხი, სამწუხაროდ, ნაკლებად დაესწრო. შემოსავალი იყო სულ 1600 მანეთამდე.

*** კვირას, 27 მაისს, დილით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება წესდების მე-103 §-ის შევსების შესახებ, შემდეგ არჩევნები მოხდა: —გამგეობის წევრად ხელმეორედ არჩეულ იქმნა ა. ნ. ფურცელაძე (65—32) და მის კანდიდატად ა. ნ. სავანელი (64—34), დამფასებელ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ი. ს. ციციშვილი, (66—32) ი. გ. ჯორჯაძე (75—23) და გ. ი. რატიშვილი (61—37).

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია დააარსოს კავკასიაში რამდენიმე მეღვინეობის სკოლა. პირველი ასეთი სკოლა ჩრდილოეთ კავკასიაში იქმნება დაარსებული ამ ახლო მომავალში.

*** როგორც გაზეთებს ქუთაისიდგან ატყობინებენ, 24 მაისს ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს განუხილავს საქმე რამდენისამე სტუდენტისა და სხვათა, რომელთაც ქუთაისის თეატრში „კონდრა-ბანდისტების“ წარმოდგენის დროს 16 აპრილს მშვიდობიანობის დარღვევა ჰბრალდებათ, და გადაუწყვეტია: არაბიძისა და კაჩუხოვისათვის ხუთი მან. ჯარიმა, ანუ ერთი დღით დაპატიმრება; ჩიქოვანისა, გობეჩიასა, ჩხეიძისა, კერესელიძისა და აბაშიძისათვის სამ-სამი მან. ჯარიმა, ანუ 1 დღით დაპატიმრება.

*** დღეს, 29 მაისს, საღამოს 8 საათზედ სხდომა ექმნება სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში კავკასიის საიმპერატორო-სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელსაც განსახილველად დანიშნული აქვს რამდენიმე მიმდინარე საქმე. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს: მიწადმოქმედების დეპარტამენტის მოწერილობას იმის შესახებ, რომ საბჭომ თავის მოსაზრება წარუდგინოს კავკასიაში თევზის ჭერის მოსაწესრიგებლად წესდების შემოღების შესახებ; მოხწერილობას რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისას მეღვინე-მევენახეთა კრებების მოწყობის შესახებ, მოხსენებას ტფილისის საბაღოსნო სკოლის მართველის თანამდებობის აღმასრულებელისას და სხვ.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში ხუთშაბათს, 31 მაისს, საღამოს 8 საათზედ, სხდომა ექმნება კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტს, რომელზედაც მიწვეულნი არიან აგრეთვე ზოგიერთნი გარეშე კაცნიც. ამ სხდომაზედ განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ იქმნას მოწყობილი გამოფენაზედ ხალხის გასართობები.

*** როგორც ქუთაისიდგან გვატყობინებენ, ქუთაისის სასულიერო სემინარიაში წელს სწავლა 30 მოსწავლეს გაუთავებია. ამათგან პირველი ხარისხის მოწმობა მიუღია 13: დგებუაძეს ივ., მახარაძეს გ., აბესაძეს ნ., არსენიძეს რ., კვიკვიძეს ლ., რობაქიძეს გრ., ტყემალაძეს ან., რიბალსკის ნ., ტოლოპიძეს ი., შვანგირაძეს ი., ლომიძეს ბ., ქავთარაძეს კ., ფერაძეს თ., ხოლო დანარჩენთ ხოშტარიას ს., მუსერიძეს ი., ფოცხვერაშვილს კ., სინიცკის ა., გველესიანს ს., მესხის მ., უტურაის, ბერნიცკის ი., ომელიანოვსკის ვ., ვაშაკიძეს ა., ხაჟომიას გ., ჩაჩულას გ., ცინცაძეს გ., ჩომახიძეს ი. ბაკურაძეს ვ., ტალაკვაძეს პ., აფხაზავას ივ.—მეორე ხარისხისა.

*** საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს ტფილისში 2 ივნისს მოელიან გორის მაზრიდგან.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუდვია 2000 მ. მომავალ გამოფენისათვის კავკასიაში შინა-მრეწველთა ნაწარმოებთა შესაძენად. ეს ნაწარმოებნი შემდეგ სრულიად რუსეთის შინა-მრეწველთა გამოფენაზედ გაიგზავნება.

*** როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, განსვენებულის ზუბალაშვილის მემკვიდრეთ შეიძინეს დიდის მთავრის ქუჩაზედ 570 ოთხკუთხი საჟენი მიწა სახალხო სახლის ასაშენებლად. მემკვიდრეთ არ მიუღიათ ტფილისის სახალხო კითხვათა კომისიის მიერ შეკრებილი 14 ათასი მ. ამავე საქმისთვის და გარდაუწყვეტიათ, მამის ანდერძისამებრ, თავისის ხარჯით ააგონ სახალხო სახლი და თუ უკვე შეწირული 100,000 მანეთი არ ეყო, სხვა ფულიც გადასდონ ამ საქმისათვის.

*** როგორც გაზ. „არგონავტს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, საერო განათლების მინისტრი ვანოვსკი ივნისს კავკასიაში აპირებს თურმე ჩამოსვლას.

*** მიწად-მოქმედების დეპარტამენტს აზრადა აქვს გამართოს ქუთაისში ამ ზაფხულს მებაღეობის კურსები სახალხო სკოლების მასწავლებელთა, წვრილ მეურნეთა და გლეხთათვის.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს ბათუმიდგან სწერენ, იქ დაუარსებიათ ნოქართა დამხმარებელი საზოგადოება.

*** კვირას, 3 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, „კავკ. ვესტ.“-ის რედაქციაში ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა კრება მოხდება ბეჭვდითის სიტყვის მოღვაწეთა დამხმარებელ კასის პროექტის განსახილველად.

*** როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, თურმე ჭიათურაში არსდება შავი ქვის მწარმოებელთა კავშირი, რომელსაც აზრადა აქვს საქმე ბერლინში ახლად დაარსებულ შავი ქვის მწარმოებელთა სინდიკატთან იქონიოს. ამ კავშირის წესდების პროექტს უკვე ადგენენ.

*** როგორც „არგონავტს“ იქიდგანვე ატყობინებენ, მიწად-მოქმედების სამინისტრომ იურისკონსულტი მოსკალსკი გამოგზავნილ იქმნა კავკასიაში სახაზინო მიწების შესახებ ამტკიცარ დავისა გამო ხაზინის ინტერესების დასაცველად ადგილობრივ სასამართლოებში.

*** 26 მაისს ქალაქის სასწავლებლების გამგეთა კრება მოხდა, რომელზედაც გამოირკვა, რომ მომავალ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში დიდი ადგილი დათმობა მიხეიძის სახელოსნო სასწავლებელს ექსპონატების წარსადგენად. ცალკე ადგილი დათმობა აგრეთვე დედათა პროფესიონალურს სახელოსნოს. ხოლო დანარჩენ ქალაქის სასწავლებელთ დათმობათ 10 ოთხ-კუთხა საჟ. კრებამ დაადგინა წარადგინოს გამოფენაში ქალაქის უველა სასწავლებლის მასწავლებელ-მოსწავლეთა ფოტოგრაფიული სურათები, და ამავე დროისათვის შეადგინოს ქალაქის სასწავლებელთა ისტორია.

*** 24 მაისს ტფილისის უსინათლოთა სკოლაში ეგზამენი მოხდა, რომელსაც დესწრო, სხვათა შორის, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფი კ. ბ. ანოფსკი. დამსწრეთ დიდი მადლობა გარდაუხადეს სკოლის მზრუნველს კნ. დ. რ. ჯავჯავაძისას.

*** 24 მაისს, ბუბერნის სოფლებიდგან სოფლეთა საკრებულოს, სხვათა შორის, დაუდგენია გამოიძიოს საქმე ტფილისის „მეშჩანთა“ მამასახლისის ედიგარ ედიგარიანოვისა, რომელსაც უჩივის „მეშჩანთა“ გაშგეობის გარდასახადთა მომკრებელ ივანეზოვი, მოქმედებით შეურაცხყოფა მომაყენაო.

*** განაჩენი თავ. შიხიტუსიშვილისა, ვლ. ბარათაშვილისა, გიორგი ოსიტაშვილისა და ალექსანდრე ტერ-შმოგანოვის საქმის გამო უკვე ძალაში შევიდა და გადაეცა კიდეც ბრალმდებელს სისრულეში მოსაყვანად. როგორც გვწერენ, ბრალდებულთ გადაწყვეტილი აქვთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამოართმევა და პატიმრობა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: ბარათაშვილსა და ტერ-შმოგანოვს $3^1/_2$ წლით, ხოლო ოსიტაშვილსა და ტუსიშვილს—$2^1/_2$ წლით.

*** ანჩისხატის ქუჩაზედ შაბათს, ღამით, ჩხუბი მოსვლიათ ტფილისის მცხოვრებს მარქარა ოგანეზოვს, ბადდასარ საკოვს და სარქის მარქაროვს. ჩხუბის დროს ოგანეზოვს მძიმედ დაუჭრია დანით მუცელში საკოვი და ფეხში მარქა-

---

ნახავს და არ წამიკითხნია. ცხადია, რომ წერის ძარღვი მოდუნებულა, ფიქრს სიფხიზლე დაჰკარგვია, თითქო აზრსაც რაღაც მაჯლაჯუნა გადასწოლია. უწინდელ კრებაზედ სხვაფრივ იყო ხოლმე. პრესის წარმომადგენელი გატაცებული იყო საზოგადო სიცოცხლით და სიცხოვლით, საგანი გულზედ ცეცხლს უკიდებდა, კრების ზვირთები და ტალღები იმასაც აქეთ-იქით ახლიდა, აზრთა ბრძოლა და უშიშარი, პირდაპირი კამათი იმასაც აღფრთოვანებდა, აღტაცებას აძლევდა. პრესა ფრთებ შესხმული იყო და აკი ამიტომ სიფაციცით კითხულობდნენ კიდეც, რაც კი აწერებოდა კრების შესახებ. აკი ამიტომ ნაწერსაც მადლისა და სიცოცხლის ბეჭედი აჯდა!..

ასე გასინჯეთ, თვით კრების დარბაზიც დაკნინდა და დაპატარავდა. წინად კრება თეატრის შენობაში იყო ხოლმე. ჩვენის მელპომენას ერცელი და ფართო ტაძარი ძლივს იტევდა საზოგადოებას. ზოგჯერ ეს უზარმაზარი თეატრი, მისი ბალი და არემარე ისე გაიჭედებოდა მაყურებლებით, რომ ნემსის კურწიც კი არსად ეტეოდა. ახლა აუღიათ და კრება ბანკის ზალაში გაუმართავთ. ეს ზალა კიდეე ელენთასავით ვიწროდ და უშნოდ გაჭიმულა სიგძეზედ და შიგ მყოფს სულსა და გულს უხუთავს! ძველი ტრიბუნაც სადღაც მიმალულა. დიაღ, ჩვენ ვეღარ ვნახეთ ის ტრიბუნა, რომელიც ძველის კრების სამკაულს შეადგენდა. გეხსომებათ, რომ იმ ტრიბუნაზედ გვრგვინავდნენ და მეხებრივ სჭექდნენ ჩვეენნი მჭევრნი და ორატორნი. ახლა კი შინაური მუსაიფი გაბატონებულა და, აბა, სიტყვის ჭექა და აზრის ელვა რაღა სახსენებელი და მოსატანია! ამიტომაც ტრიბუნა დარბაზს გასცლია,—მე მეტი ბარგი ვარო.. მართალიც არის: სადაც გარეშე ძალა ბრძანებლობს და სადაც სიტყვა ალაგმულია, იქ ტრიბუნას ადგილი არა აქვს. ახლა თვითეული რწმუნებული დინჯად დაბაძანებულა თავის ჩიკაზედ (ხევსურულად ჩიკა სკამია), მშვიდად და წყნარად საუბრობს, რიდითა და მოწიწებით ბჭობს. გარეგანი წესი და რიგი, მართლაც და, სამაგალითოა! თუ სიწყნარემ და დისციპლინამ ამ გზით იარა, ჩვენი საბანკო კრება კეთილ-საიმედო დაწესებულების სახელს მალე დაიმსახურებს, თუ კი ჯერ არ დაუმსახურებია. ზოგისთვის ესეც დიდი თანხა იქმნება!..

* * *

კრების წევრთა გარეგანი სახეც სხვაა. რწმუნებულთა კრებას მუნდიროსანნი და კაკარდოსანნი შეადგენენ. ერთს-ორს ჩოხოსანს ძლივს მოჰკრავთ თვალსა. მანდილოსანს ხომ ფარნითაც ვერ იპოვნით. უწინდელ კრებას სხვანაირი ფიზიონომია ჰქონდა. მაშინ ჩოხა და მანდილი ჰმატობდნენ. უწინ ნება-უნებურად ქართული სიტყვა გაისმოდა. ამას თხოულობდნენ ჩოხოსანნი და მანდილოსანნი. ამიტომაც კრების დარბაზი ქართულს აუდიტორიას წარმოადგენდა. თვით ჩოხოსანნი და მანდილოსანნი ბჭობდნენ, კაძათობდნენ საქვეყნო საქმის გამო და ასეთი ვარჯიშობა დიაღ საგულისხმიერო და სასარგებლო იყო. ახლა კი... ერთი ქართული სიტყვაც არ მსმენია კრებაზედ!.. წინად ჩვენს კრებას პარლამენტს უწოდებდნენ, ახლა კი არ ვიცი, რას დაარქმევენ... ეს კია, რომ ძველი ფორუმი და ტრიბუნა განქრნენ და მათი დიდება წარვიდა... სახრავი კი აღარსად არის და სახელი, რაც ნებავთ, ის დაარქვან!.

მეტადრე დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ აწინდელ კრებაზედ ერთი ქალიც კი არ ესწრება. უწინდელ კრების თაიგულს, იმის საუკეთესო შვენებას შეადგენდნენ მანდილოსანნი, რომელნიც საზოგადო საქმეს სწავლობდნენ, სამშობლოს პატრონობას და მოურნეობას თვალყურს ადევნებდნენ და ითვისებდნენ. ყოველივე ეს იმათ აზრსა ზრდიდა, იმათ გრძნობას აღორძინებდა. მანდილოსანს საქვეყნო საქმე საზრუნველ საგნად ექცეოდა და თქვენის თვალით უნდა გენახათ, თუ რა ცხარე სჯა და ბაასი იყო ხოლმე თვით მიყრუებულ და მივარდნილ სოფლებში. ცხოვრების არარაობა და სიფუყე თითქო განქრნენ, დუმილი თითქო დაირღვა. ყოველად გამათახსირებელი ჩვენებური ჭორი თითქო შეიმუსრა. ქართლ-კახეთის ქალმა ენა აიდგა და საზოგადო ჭირსა და ვარამზედ ბაასი დაიწყო! განა ამ ჩვენის მუნჯობის დროს ეს დიდი საქმე არ იყო?..

მაგრამ თვით კრების მსვლელობაზედაც მანდილოსანს მადლიანი გავლენა ჰქონდა. „იმის წყალობით და მეოხებით საათნოება და ერთურთი თავაზიანობა სუფევდა კრებაზედ და ვინ იცის, თუ ქალი არა, ოპოზიციის ძალმომრეობას იქმნება თავისი გაეტანა, არც ის უნდა დავიწყოთ, რომ კრებაზედ მანდილოსანთა ყოფნა აღფრთოვანებდა ჩვენს რაინდულს თაეად-აზნაურობას და სიკეკლუცესთან ერთად დარბაზს ჰფენდა ლმობიერებასა და გულითადობას. და თუ აწინდელს კრებას პროტოკოლური ხასიათი აქვს, თუ იგი კრება სიცხოვლეს მოკლებულია და უფრო მშრალის ჭკუით საქმობს, ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ მშვენიერი სქესი განდევნილია კრების დარბაზიდგან.

***

როცა საზოგადო კრება „რწმუნებულთა“ კრებად გარდაიქცა, ყველა ფიქრობდა, რომ ახლა-კი სიტყვების ტკაცა-ტკაცს და ფრაზების რახა-რუხს ბოლო მოეღებაო და საქმიანობა გაიმარჯვებსო. მართლაც და, უწინდელ კრების უმთავრესს ნაკლს მრავალ-სიტყვაობა შეადგენდა. დაუსრულებელი ლაპარაკი იცოდნენ. ორატორთა უმრავლესობა სრულიად გაუწვრთნელი და გაუვარჯიშებელი იყო. მაგრამ ან კი ვინ უნდა გავამტყუნოთ, როცა დროთა ვითარებამ სრულიად დაგვავიწყა ქვეყნისათვის ზრუნვა და საქვეყნო საქმეებზედ ბაასი და სჯა. საჯარო სიტყვას, სატრიბუნო მჭევრობას აწინდელი ცხოვრება ხელს სრულებით არ უწყობს და თუ ორიოდე ორატორი მოგვეძევება,—ეს მოსატანი არც კია. ჩემის თვალით მინახავს და ჩემის ყურით მომისმენია, რომ მხოლოდ მთაში-ღა დარჩენილა ძველებური დობას. და თუ აწინდელს კრებას პროტოკოლური ხასიათი აქვს, თუ იგი კრება სიცხოვლეს მოკლებულია და უფრო მშრალის ჭკუით საქმობს, ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ მშვენიერი სქესი განდევნილია კრების დარბაზიდგან.

***

როცა საზოგადო კრება „რწმუნებულთა“ კრებად გარდაიქცა, ყველა ფიქრობდა, რომ ახლა-კი სიტყვების ტკაცა-ტკაცს და ფრაზების რახა-რუხს ბოლო მოეღებაო და საქმიანობა გაიმარჯვებსო. მართლაც და, უწინდელ კრების უმთავრესს ნაკლს მრავალ-სიტყვაობა შეადგენდა. დაუსრულებელი ლაპარაკი იცოდნენ. ორატორთა უმრავლესობა სრულიად გაუწვრთნელი და გაუვარჯიშებელი იყო. მაგრამ ან კი ვინ უნდა გავამტყუნოთ, როცა დროთა ვითარებამ სრულიად დაგვავიწყა ქვეყნისათვის ზრუნვა და საქვეყნო საქმეებზედ ბაასი და სჯა. საჯარო სიტყვას, სატრიბუნო მჭევრობას აწინდელი ცხოვრება ხელს სრულებით არ უწყობს და თუ ორიოდე ორატორი მოგვეძევება,—ეს მოსატანი არც კია. ჩემის თვალით მინახავს და ჩემის ყურით მომისმენია, რომ მხოლოდ მთაში-ღა დარჩენილა ძველებური

ქაროვი, რომელნიც მაშინვე მიხეილის სამკურნალოში იქმნენ გაგზავნილნი; ოჯანეულზეი დაუბატიმრეს.

* 27 მაისს, დილით, შაქარის სადგურის მახლობლად მე-370 ვერსზედ მიმავალ მატარებელზედ ახტომის დროს სპარსეთის ქვეშვრდომი ალი ჰუსეინ ბაირამოღლი გადმოვარდნილა და ვაგონის თვლებს მარცხენა ფეხი მოუტეხია.

* 27 მაისს, ბაქოს სადგურში ორთქლმავალის გამსკდარ მილიდგან გადმოღვრილმა მდუღარემ პირისახე და ხელი დასწვა მუშას გორიშვილს.

დაბა ბ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს ძევრი, (ქუთაისის მაზრა). ამას წინედ გაზ. „ივერიის“ მკითხველებს ჩვენის სოფლის ავ-კარგიანობა მოვახსენეთ და ამასთან ისიც, რომ ბ-ნი მეთოდე ქათამაძე მდინარე ძერულის წყალზედ ხიდის გაკეთებას შეუდგა-მეთქი. ხიდის კეთება დღეს უკვე დასრულებულია, რომლის სარგებლობაც ჩვენის საზოგადოებისათვის უზომოდ დიდია. კურთხევა ხიდისა დანიშნული იყო თოთხმეტ მაისისათვის. ამ დღეს ხიდის კურთხევაზედ დასასწრებლად მობრძანდნენ: ბ-ნნი ქუთაისის მაზრის უფროსი თავ. დადიშქელიანი, მისი თანაშემწე, ტყიბულისა და ჩხარის ნაწილის ბოქაულები, ამათ თან ახლდნენ: სიმონეთისა, ჩხარისა და საწირის საზოგადოების მამასახლისები, სასამართლოს ადგილობრივნი მოხელენი და აუარებელი მაყურებელი ხალხი, როგორც მახლობელ, ისე შორეულ სოფლებიდგან. ხიდის საკურთხებელად მიწვეული ბძანდებოდნენ ადგილობრივი მღვ. მ. ნესტორ როფაქიძე და სხვა მახლობელ სოფლების რამდენიმე მღვდელი. ხიდის კურთხევა ცოტა გვიან მოხდა, რადგანაც მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ II გვირგვინის კურთხევის საღმრთო მირონცხების დღესასწაული იყო; წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის სადღეგრძელოდ და შემდეგ აქედგან წაბრძანდნენ ხიდის საკურთხებლად. კურთხევას ხალხი დიდ-ძალი დაესწრო. გათავდა თუ არა ხიდის კურთხევა, მხატვარმა ცხომელიძემ, რომელიც ბ-ნი ქათამაძისაგან იყო ქ. ქუთაისიდგან მოწვეული, გარდაიღო ფოტოგრაფიული სურათი მრთელის დამსწრე კრებისა. შემდეგ ბ-ნს მაზრის უფროსსა და სხვა საპატიო დამსწრე კაცებსა და სამღვდელოებას საუზმე მიართვეს, ხოლო სადილი დაბა ჩხარში იყო მომზადებული. ბ-ნმა მაზრის უფროსმა სადილზედ პირველად ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა, ხოლო შემდეგ დანარჩენ საპატიო კაცთა და ბ-ნის ქათამაძისა, რომელმაც თავისის ხარჯით საზოგადოებას ასეთი ხიდი გაუკეთა. დამსწრე საზოგადოებამ ქველ-მომქმედს ქათამაძეს ასეთის ზრუნვისათვის ღრმა მადლობა განუცხადა და სადღეგრძელო სიამოვნებით მიიღო. ეუსურვებთ ბ-ნს ქათამაძეს, რომ მის მიერ დაწყობილი საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმენი საკეთილოდ დასრულდნენ და მალე დაბა ჩხარში ფოსტა-ტელეგრაფის ნაწილსაც ვღირსებოდეთ, რომელიც დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას, განსაკუთრებით კი იმისთ:ნა მიყრუებულსა და ყველასგან ყურადღება-მოკლებულ საზოგადოებას, როგორიცაა სიმონეთისა და ჩხარის საზოგადოება. ჩვენს გაჭირვებას ამ ჟამად უგზოობა შეადგენს, რომელსაც, იმედია, მაზრის უფროსი ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს და განკარგულებას მოახდენს, რომ შეაკეთონ.

ა. როფაქიძე

კასპიის ზღვის პირად ცხოვრება ცხვარ-მეცხვარისა და ცხვრის დოლოგა და მოშენება.

(შემდეგი *)

სპატენეში ბატკანი ინახება იმ დრომდე, ვიდრე დიდი მთლად გამოიკვებება, ბალახი კარგად წამოიწეკს, ცხვარი მატობაზედ დადგება და მომგებ დედალს ცხვარსაც რძე ცურში ბატკნის სამეოფისი გაუჩნდება, ასე, რომ სპატენეში ინახავენ ბატკანს სულ 25—30 დღის განმავლობაში. ბიჭა ბატკანს-კი ადრე აოდებენ ცხვარსა, რადგანაც ორისამის კვირით ადრე ჩნდება და რძეს გარდა, ბიჭა-ბატკანი *) თავისს ჰირითაცა სძოვს ბალახსა. სპატენეშიგე ფუჭდება ბატკანი მომეტებულის წოდითა, რადგანაც ფირტ-დვიძი გვერდზედ მიეკვრის და რამდენისამე ხნის შემდეგ კიდევაცა ჭკლავს. ამიტომ ბატკნებს მალ-მალე უფხუკუნებენ, ახტუნებენ, ანავარდებენ, რომ ბატკანი მოძრაობაში სადთ გაიზარდოს. მშვენიერი სანახავია, როდესაც ახლად შეკენჭილი ბატკანი სპატენედგან გამოეფინება და შემოქარგულს ბაგში მინდვრიდგან მოსული შამბით გამაძღარი და ძუძუებ-რძით დავსებული დედა ცხვარი ღრიალ-ბღავიდით მოეგებება წვრილს შვილებს, ბაწაწინა ბატკნებს. არეული ცხვარ-ბატკანი ზოგი სულ ვერა ჰოულობს, ზოგს ეუცხოება თავისს შვილი და ხელ-ალად იძულებს. მწუემსი ამისთანა ცხვრებსა და ბატკნებს იქვე განგებ ბაკის ჰირში მომზადებულს ქობულებში უკრამს თავსა და მთელს დღეს მშიერს ამწყვდევს. ამით სქარა შეითვისებს ცხვარი ბატკანსა და ძუძუს წოვის ნებასაც აძლევს. დარეულს ცხვარ-ბატკანს ერთ საათამდე აცლიან მწუემსები, არ ჩაერევიან და ეუბნებიან ერთურთს: დაიცათ, დაიცადეთ, ჯერ თვითონ ცხვარმა დაითავ-თავისოს ბატკანი და მერე, ვინც მეცნიარი ხართ, შედით და თქვენ დაურიგეთ, მიუკარეთ თავ თავისი, რომ მშიერი არა დარჩესრა. თორემ რომელი ცხვარიც თითონა სცნობს და ჰოულობს ბატკანს, ისიც მწუემსს შესცქერის, მიბოვე შვილი და ნომიუვანეო. შემდეგ ერთის საათისა შევლენ საწოვებს ცხვარში მწუემსები (რომელიც-კი ცნობაში თავს იქებს), აიუვანენ ხელში ხუთიოდე-ექვს ბატკანსა და თავისს დედებს ჩამოურიგებენ. ამას რამდენჯერმე გაიმეორებენ. დადის მწუემსი ბაგში რამდენისამე ცალი ბატკნითა და დასდგენენ უკან დედალი ცხვრები და მცნობელს მწუემსს შეგბდავიან: —მეც მიბოვე ჩემი შვილიო! საკვირველია, რომ საქონელი კარგად სცნობს და აქვს ადებული ზრი იმ მწუემსისა, რომელიც შვილებს ურიგებს და მას შეგბდავიან ისინიცა. სხვა მწუემსს კი ზედაც არ შეგხედავენ. ამ დროს რძე-ნაკლები ცხვრის შვილები, ეგრედ წოდებული კაჭინები (ბატკნები) ქურდ-ბაცაცა ოსებივით გაოსტატდებიან ხოლმე. ამგვარი ქურდი ბატკანი მიდის და სხვის ბატკნის დედასა სწოვს მალ-ვით, ასე რომ, თუ გამოცდილი ცხვარი არა, ვერც დედა უგებს და თუ უგებს, ვედარც იშორებს, რადგანაც ქურდი კაჭინა ბატკანი წურბელასავით გაებმის ხოლმე ძუძუებზედ და სანამ სულ არ გამოსწოვს, ძუძუს არ უშვებს. ერთს მოშორდება, ახლა მეორეს წაეპარება, მოუვლის იქით მხარეზედ, რომელ მხარეზედაც თავისი ბატკანი არა სწოვს; ცხვარსა ჭკონია, თუ თავისი ბატკანი სწოვს და ორივე ძუძუ ისუტება. ამისთანა კაჭინა ბატკნებს ფაშვები ნამეტანის რძით გავსილი აქვთ, ტანით მცირენი არიან, თავ-ბირი ნახეკარ წლამდე სულ ლაფში მოსვრილი და მოთხუბნული აქვთ, რადგანაც უველა ცხვრის ქვეშ ისა ძვრება. მაგრამ ეს ლორმუტელა და თვალ-მშიერი ბატკნები სხვა ბატკნებთან შედარებით მაინც ნაკლებნი, გაჯიჯგულები და დაჩაგრულები არიან. მეტის მეტი რძე ჭვნებთ და არა ჭრგებთ.

ამიტომ მცნობი მწუემსი ძალიან ძვირადა ღირს უველა ფარის ჰატრონისათვის, რის გამოც მეცხვარეს ვერც იმისი მესამედი ფასი გუმეტნია მცნობიარე ჩობნისათვის, რამდენადაც ის ცხვრისათვის საჭირო. თუ მეცხვარეს მცნობი მწუემსი არა ჭკვავს დიდი ნაბადი ტრონი ვერც სამასს გაზრდის, ხარჯი და ჯაფა ამოდ ჩაუვლის და ზარალსაც თავიდგან ვერ აიცილებს. ამიტომაც მაძღებელი მწუემსის ჯამაგირის მცნობელი მწუემსის ჯამაგირი ორ წილათ მაინც უნდა ადემატებოდეს, რადგანაც იგი დღე და ღამე ფეხ-გაუხდელი, ქამარშემოუხსნელი და უძილო ტალახიან ფარეხში და ბაგში იბრძვის და სცდილობს თავისის მეკვლინეობით ცხვარი მარტის ცუდს თოვლ-ჭყაპს გადარჩინოს და ჰატრონი ახეიროს. მცნობელი მწუემსი მუდამ ერთსა და იმავეს გაიძახის: მთელს წელიწადს ერთს ცხვარს ვემსახურებით და ვეწევით ხარჯსა, რომ ერთი ბატკანი გავარდეგინოთ; მოგვ მარტის თვე და ერთს თვეს რომ მუეაითობა არ გაგწიოთ, ცხვარიცა გვდება და ბატკანიცაო: მიტომაც ამ თვეს რომ კისრით ჩამოგვეკიდნეთ, უნდა ავიტანოთ, რადგანაც ჩვენი ხეირიცა და უხეიროობაც მთლად ამ თვეზედაა დამოკიდებული: გავირჯებით, —ვიხეირებთ, ვიზარმაცებთ —დავიღუბებითო. ქონისები არავის ვართ, რომ გავიეინოთ და მარილისები, რომ გავდნეთო,—ამბობენ მწუემსები,—კაცმა უველა უნდა აიტანოს და მაშინ დმერთიც უფასებს ჯაფასაო. ამ სიტუვებით ამხნევებს მწუესი მწუემსსა. ხუთას-ექვსასის, ანუ ათასის ცხვრის მომწოვებელს სწორედ კარგი გოგრა და მეხსიერება უნდა, რომ უველა ცხვარი სათითოდ გაიცნოს და შეისწავლოს, თუ რომელს ცხვარს რომელი ბატკანი ეკუთვნის, რომ ერთმანერთში არ გადაურიოს და მთლად ფარას არ აძულებინოს ბატკნები. თანაც ორის ანუ სამის საათის განმავლობაში დღეში ორჯელ ამოტელა რიცხვს ისე მოაწოვოს, რომ არც ერთი ბატკანი მშიერი არ დაჭრჩეს. ამგვარს მწუემს ქება აქვს გავარდნილი: ათასს ცხვარს ისე ადოდებს, რომ ერთი მშველელი არ უნდაო. მაგრამ ამისი ცოდნა და ჯაფა რითი არის განა დაჯილდოვებული? ბევრით არაფრით. შუათანა მწუემსს ეძლევა შვიდიოდ-რვა თუმანი, ან უფალად ან საქონლად და მცნობს მწუემსს ათი თუმანი; უმეტესს-კი უფრო მცირეც.

კალმის-წვერა

(დასასრული იქნება)

მეცვრობა, მაგრამ იქ ჯერ არ მოსპობილა თავის თავისთვის ზრუნვა, სათემო მოურნეობა...

დიაღ, საქმიანობა გაიმარჯვებს რწმუნებულთა ხელშიო და სწორედ ეგრეც მოხდა. აწინდელი საბანკო კრება უფრო მეტს საქმიანობს და უფრო ცოტას ლაპარაკობს. უწინდელი უთავბოლო და გაუთავებელი „ლაპარაკი ლაპარაკისთვის“, რომელიც სენად შეყრილი ჰქონდა ზოგიერთს ორატორს, ახლა აღარ მოიპოვება. მაგრამ, სამწუხაროდ, ახლაც ენის ქავილი ხანდახან არ აყენებს თითო-ოროლა რწმუნებულს და უაზრო სიტყვებს აროშინებს. მოგეხსენებათ, საქვეყნოდ და საჯაროდ წარმოთქმულს სიტყვას დიდი პატივი აქვს, იგი სიტყვა თაემოსაწონია და ამიტომ თვით ბლუსა და ბრგუსაც კი სურვილი ებადება,— თავისი აზრი საზოგადოებას აუწყოს... ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ აწინდელი კრება უფრო მეტს საქმიანობს მეთქი. კამათის დროს საგანს გარშემო და თავს დასტრიალებენ, აქეთ-იქით არ უხვევენ, პროგრამას ადგიან. ამიტომაც ბჭობა ბზიანია და საგანიც ნათლად ირკვევა. ბჭობისა და კამათის დროს უწინდელ ჟინსა და ვნებათა ღელვას ვერ შეხვდებით. ოპოზიციაც დამშვიდებულა, დაწყნარებულა.

***

აწინდელი ოპოზიცია შესდგება იმავე ორატორებისაგან, რომელნიც წინადაც მოღვაწეობდნენ. მხოლოდ ცოტანი-ღა დარჩენილან—

«Иныхъ ужъ нѣтъ,
А тѣ далече,
Какъ Сади нѣкогда сказалъ“,

ჰოეტის თქმისა არ იყვეს. ეს ოპოზიციონისტნი, შეხედულობით კუშტნი ტ პირ-ხმელნი, წერწეტნი ტ ჯმუხნი, პირველ ნაპოლეონის გენარლებს ჰგვანან, მაგრამ მათი საორატორო სტრატეგიისა და ტაქტიკისა კი რა მოგახსენოთ... მე ერთმა გარემოებამ გამაკვირვა: ოპოზიციას არა დაუვიწყნია-რა, არა უსწავლია-არა. იგი ისეთივეა, როგორიც წინად იყო. როგორც წინად, ახლაც ოპოზიციას საგნის ცოდნა აკლია, საქმეში ჩახედული არ არის, რწმენითა და აზრით კი არა, ეგრედ წოდებულ „გადაბრუნებულ წარმოდგენით სულდგმულობს“... „გადაბრუნებული წარმოდგენა“ ზედ გამოჭრილი სიტყვაა, სწორედ და ნამდვილად ახასიათებს ოპოზიციას და მეც ეს სიტყვა განგებ ამოვიღე ბ-ნის ნოე ჟორდანიის „ქართულ პრესიდგან“, რომელიც,—თუ ღმერთი გწამთ, ჩვენ მი კი დარჩეს—ქართული პრესა კი არა, უფრო ჩვენებური ჰრასა და ნიახურია და ისიც ზედ ნიორ-წყალ გადასხმული... დიაღ, ოპოზიცია „გადაბრუნებულ წარმოდგენით სულდგმულობს“. მეტადრე ა. ჩოლოყაშვილს, ამ დიდად პატივცემულს მოღვაწეს, წარმოდგენა სრულებით გადაბრუნებია, თითქმის თავდალმა დაჰკიდებია. რასაც კი იტყოდა, სულ ისეთს, რომ თავი ბოლოს არ ებმოდა და ბოლო თავსა. რად, როცა ა. ჩოლოყაშვილი შეგნებულ, წინდახედულ და განვითარებულ გვამად ცნობილი იყო?!. ბატონებო, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრი ჩვენგანი ხანდახან ჭკუას ძალას ატანს და, თუმცა საოქმელი არა ჰქონდეს-რა, მაინც ლაპარაკობს ქვეყნის საჩვენებლად, დასანახავად.

დიაღ, გადაბრუნებულ წარმოდგენით სულდგმულობს თვითეული ოპოზიციის წარმომადგენელი და, რასაკვირველია, ისეთი ოპოზიციონისტიც, როგორც ბ-ნი ხუდადოვია. მე რომ მკითხოთ, ამან სხვებს კიდეც გადააჭარბა და აჯობა წარმოდგენის გადაბრუნებაში. აი მაგალითიც.

ბანკის წესდება გამგეობას მოკლე-ვადიან სესხის გმცემის ნებასაც აძლევს. ასეთის სესხის ვადა ერთის წლიდგან სამ წლამდეა. წესდებაში თურმე პირდაპირ არა სწერია, რომ სინამდე მოკლე-ვადიან სესხის გაცემას არ დაამტკიცებს საკრედიტო კანცელარია, სესხის ამღებს ნება ჰქონდეს ცოტაოდენი ნაწილი მაინც მიიღოს სესხისა, დროებით ხელი გაიმართოს, სული მოიბრუნოს. ბანკის გამგეობას ერთი მეტად გონივრული და სასარგებლო ჩვეულება შემოუღია: ამ სესხს საკრედიტო კანცელარია ხომ უეჭველად ნებას დართავს და მოდი სინამდე პეტერბურგიდგან იგი ნებართვა მოვა, სესხის ამღებს მივეშველოთ და სესხის მეოთხედი მივცეთო. გამგეობის თავმჯდომარემ ისრე მკაფიოდ და ცხადად განმარტა,— თუ რა სარგებლობა აქვს როგორც ბანკს, ისრე მსესხებელს ასეთის ხელის გამართვით, რომ ოპოზიციამ იმ განმარტების წინააღმდეგ კრინტიც-კი ვერ დასძრა და სრულიად დაეთანხმა გამგეობას.

მაგრამ „გადაბრუნებულ წარმოდგენის“ ჟინმა ბ-ნი ხუდადოვი მაინც შეიპყრო და აიყოლია და მთელი ლოღიკა სულ თავდალმა დააყენებინა. მართალია, ეგ „პრაქტიკა“ ხელსაყარიც არის და სასარგებლოც, მაგრამ წესდების ამა და ამ მუხლში პირდაპირ არა სწერია და ამიტომ უკანონოა და უნდა მოისპოსო,— ასე გადააბრუნა ბ-ნმა ხუდადოვმა გამგეობის სწორი აზრი... ეს კიდევ არაფერი. წარმოდგენის გადაბრუნების ეშხმა ბ-ნი ხუდადოვი იქამდე გაიტაცა, რომ ამ ორატორმა საპროკურორო და საპოლიციო კილოთი მთელი ლექცია წაიკითხა და ქება შეასხა ეგრედ წოდებულს იურიდიულ ასო-მჯამლობას (буквоѣдство) და ფორმალიზმს. ისრე უნდა მოიქცეთ, როგორც „პარაგრაფი“ გიბძანებთ თავისის ასოებით და გრამატიკით, თორემ დავიღუპებითო, რას მიქვიან „პრაქტიკა“ და კანონის აზრი, წესდების სულიო... მე ყოველსავე ამას მოწიწებით ვისმენდი. ჩემდა უნებურად-კი ძველ დროის მდივანბეგი მაგონდებოდა, თუმცა ბ-ნი ხუდადოვი ამბობდა ბრალდებითს „რეჩს“, ის ბ-ნი ხუდადოვი, რომელიც... ჰო, ბატონებო, „გადაბრუნებულ წარმოდგენის“ ჟინი ისეთი თილისმა და ჯადო ყოფილა, რომ თვით „წმინდა სისხლის“ ლიბერალსაც-კი დერეფიმორდად გარდააქცევს!—შორს ჩემგან, ნოე ჟორდანიას გადაბრუნებულო წარმოდგენავ!..

ვიმეორებთ, ასეთი გადაბრუნების სენი შეჰყრია ოპოზიციას. სხვა მაგალითებიც შემეძლო მომეყვანა, მაგრამ კმარა.

Plebs

ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲪᲮᲕᲐᲠ-ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲓᲝᲚᲝᲒᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲨᲕᲔᲜᲔᲑᲐ.

(შემდეგი *)

სპატენეში ბატკანი ინახება იმ დრომდე, ვიდრე დიდი მთლად გამოიკვებება, ბალახი კარგად წამოიწეკს, ცხვარი მატობაზედ დადგება და მომგებ დედალს ცხვარსაც რძე ცურში ბატკნის სამეოფისი გაუჩნდება, ასე, რომ სპატენეში ინახავენ ბატკანს სულ 25—30 დღის განმავლობაში. ბიჭა ბატკანს-კი ადრე აოდებენ ცხვარსა, რადგანაც ორისამის კვირით ადრე ჩნდება და რძეს გარდა, ბიჭა-ბატკანი *) თავისს ჰირითაცა სძოვს ბალახსა. სპატენეშიგე ფუჭდება ბატკანი მომეტებულის წოდითა, რადგანაც ფირტ-დვიძი გვერდზედ მიეკვრის და რამდენისამე ხნის შემდეგ კიდევაცა ჭკლავს. ამიტომ ბატკნებს მალ-მალე უფხუკუნებენ, ახტუნებენ, ანავარდებენ, რომ ბატკანი მოძრაობაში სადთ გაიზარდოს. მშვენიერი სანახავია, როდესაც ახლად შეკენჭილი ბატკანი სპატენედგან გამოეფინება და შემოქარგულს ბაგში მინდვრიდგან მოსული შამბით გამაძღარი და ძუძუებ-რძით დავსებული დედა ცხვარი ღრიალ-ბღავიდით მოეგებება წვრილს შვილებს, ბაწაწინა ბატკნებს. არეული ცხვარ-ბატკანი ზოგი სულ ვერა ჰოულობს, ზოგს ეუცხოება თავისს შვილი და ხელ-ალად იძულებს. მწუემსი ამისთანა ცხვრებსა და ბატკნებს იქვე განგებ ბაკის ჰირში მომზადებულს ქობულებში უკრამს თავსა და მთელს დღეს მშიერს ამწყვდევს. ამით სქარა შეითვისებს ცხვარი ბატკანსა და ძუძუს წოვის ნებასაც აძლევს. დარეულს ცხვარ-ბატკანს ერთ საათამდე აცლიან მწუემსები, არ ჩაერევიან და ეუბნებიან ერთურთს: დაიცათ, დაიცადეთ, ჯერ თვითონ ცხვარმა დაითავ-თავისოს ბატკანი და მერე, ვინც მეცნიარი ხართ, შედით და თქვენ დაურიგეთ, მიუკარეთ

*) იხ. „ივერია“ № 110.

*) ბიჭა-ბატკანი უკანონოდ შობილია (ნაბიჭვარი) უდოლოდ, როცა ყოჩი ქურდულად იპარება სთველზედ ცხვარში და ნერბავს.

რუსეთი

—

მთავრობას აზრადა აქვს რკინის გზებზედ ახალი გარდასახადი დააწესოს. გარდასახადი გამოერთმევა იმათ, ვინც სადგურებში ბაქანებზედ გამოვა მგზავრთა გასაცილებლად, ან დასახვედრად. როგორც „Нов.“ გადმოგვცემს, ამ საქმის განხილვას გზათა სამინისტროში შემოდგომაზედ განსაკუთრებული კომისია შეუდგება. ფული შეიკრიბება მოს. კოვში არსებულ იმპერატრიცა მარიამის სახელობის დაწესებულებათა ბავშვების თავ-შესაფარების სასარგებლოდ.

— აზრადა აქვთ ამ წლის შეორე ნახევრიდგან შემოიღონ უველა სახელმწიფო და კერძო რკინის გზებზედ იმ მოსამსახურეთა საგანგებულო დაზღვევა, რომელნიც სახელმწიფო ხაზინის მცველი და ფინანსთა მინისტრი, გიქს-ბიხი ჩემბერლენის ბეგმას არავითარს ეურადღებას არ აქცევს და უარს ამბობს ხარჯის მძღველებს ახალი გარდასახადები შეაწეროს, ან და სამსახურს თავი დაანებოს. გიქს-ბიხს ასეთს გარდაწყვეტილებაში ზოგიერთი ამხანაგებიც მხარს თურმე უჭერენ. როგორც ეტყობა, მიღნერი ჩემბერლენს გამოუწვევია სამხრეთ-აფრიკიდგან, რომ ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდგან როგორმე ეხსნა იგი და თითქოს კიდეკიც გაჭმარდებია იმედი: მიღნერს, სხვათა შორის, მიეგება მარკიზი სალისბიურიც, რამაც ჩემბერლენის მოწინააღმდეგეთ ცოტა არ იეოს აზრი შეაცვლევინა. ეოველს შემთხვევაში, კაბინეტის საქმე ჯერ-ჯერობით ისევ არეულია და წევრები ერთმანერთში ვერ შეთანხმებულან, თუმცა დიდი სახოგადოება ეოველიგვ ამას საკმაოდ ნათლად ვერა ჭხედავს. ამიტომაც სპოლიტიკო წრეებში უველანი მზად არიან და განსაკვირველად ადარავის დარჩება, თუ რომ მოულოდნელად პალატა დათხოვნილ იქმნება. ეჯვი არ არის, სპოლიტიკო წრეებისა და კავშირების წინამძღოლთ ახალი რამ საბუთები აქვთ ხელთა, რაიც ჯერ არ გამოქვეყნებულა. სახოგადოებათა პალატა 6 ივნისს (24 მაისს) შეიკრიბება და ამ დროსვე გამოიკვეევა სამხრეთ-აფრიკის დღევანდელი ნამდვილი მდგომარეობა, რადგანაც სამხედრო მინისტრმა, ბროდრიკმა, უკვე აღუთქვა სამხრეთ-აფრიკის შესახებ საწერო ცნობებს მიღნერის დაბრუნების შემდეგ წარმოგიდგენთო. გაჩუმება და საქმის დღევანდელ ვითარებათა გამოუქვეყნებლობა ბროდრიკს არ შეუძლია, რადგანაც დრტვინავენ არა მარტო ლიბერალები, არამედ კონსერვატორებიც. ვინაიდგან სამხრეთ-აფრიკის ომის შესახებ სამხედრო და სამოქალაქო უწყების მთავრობამ ნამდვილს არას ატყობინებს საზოგადოებას და ამასთანავე ომში დაჭრილთა და დახოცილთა შესახებ ეოველ-კვირა გრძელ-გრძელ სიებსა ჭბეჭდავს, თუმცა დიდი ხანია გამოაცხადეს—სამხრეთ-აფრიკის ომი შეწყვეტილია, ტრანსვაალი დამორჩილებულია; მით უერო, რომ მიღნერის დროდროში ჩასვლამ ინგლისელთა შორის დიდი იმედი აღძრა, ომის შესახებ დანამდვილებით რასმეს შეეიტეობთო. ეჯვი არ არის, შემთხვევა მართლაც კარგი აქვთ ამ ყამად, თუ-კი ოპოზიცია საქმის გამოაშკარავებას გულით მოეკიდება და ანგარიშს მოითხოვს.

დამოკვირდი

რაც კინდ დიდგრძელი იეოს მცოხარე, სიცოცხლე მისი მაინც ძალიან მოკლეა.

* * *

მხვნელი ხარი უფრო ძვირფასია, ვიდრე უქმი კაცი.

* * *

სულელს გული აკერია ენაზე, ჭკვიანს ენა—გულზე.

არაბული ანდაზა

ეურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

გერმანიაში არსებობს ნემეც-მწერალთა საპენსიო კავშირი. ამას წინად კავშირმა გამოაქვეყნა ანგარიში, საიდგანაც სჩანს, რომ წარსულს წელს მას 38,000 მარკა მოგება ჰქონია. კავშირის შემოსავალს შეადგენს: საწევრო გარდასახადი 55,300 მარკა, პროცენტები 19,500 და საგანგებო შემოსავალი 18,000. საანგარიშო წელს კავშირს ერთმა მწერალმა 21,300 მარკა უანდერძა. კავშირს სულ 574,000 მარკის ქონება აქვს.

* * *

ბრაუნშვეგში ამას წინად თავი მოუკლავს ერთს მდიდარს ტყის-მწარმოებელს დონფორტს, რომელსაც ანდერძად დაუტოვებია, რომ დასაფლავების მაგიერ ჩემი გვამი ზღვაში გადაგაგდეთო. მემკვიდრენი და მეგობარნი ასეც მოქცეულან. დანიშნულ დღეს დაუქირავებიათ გემი, დაუდვიათ ზედ გვამი, დამსხდარან პირისუფალნი, ნაცნობნი და მეგობარნი და ზღვაში წასულან. როდესაც რამდენიმე ვერსი გაუვლიათ, მცირე ლოცვა გარდაუხდიათ და გვამი, რომელსაც ორის ფუთის სიმძიმე ჰქონდა მობმული, ზღვაში ჩაუგდიათ. თან გადაუყოლებიათ აუარებელი გვირგვინები და ყვავილები.

* * *

მადრიდის პოლიციას ამას წინად დაუპატიმრებია ერთი ქურდი, რომელსაც ახალი საშუალება მოუგონია სხვისი ქონების დასაპატრონებლად. ქურდი სამაგალითო ტანისამოსს იცვამდა თურმე. ამ კოხტად გამოწყობილს გაიძვერას განიერს ჯიბეებში ელექტრონის ბატარეია ჰქონია. ეს ბატარეია სახელოში გამოტარებულის მავთულით შეერთებული იყო პატარა ფირფიტასთან, რომელიც ქურდს სხვათათვის შეუმჩნეველად ხელის გულზედ ჰქონდა დაკრული. როდესაც ვინმეს გაქურდვას დააპირებდა, მივიდოდა ახლო, მარცხენა ხელით ცილინდრს იხდიდა, მარჯვენას უშვერდა და ღიმილით ეუბნებოდა:

— ძვირფასო მეგობარო, ნუ-თუ ვერა მცნობთ?

გაკვირვებული კაცი უნებურად ხელს ართმევდა, მაგრამ ამ დროს ელექტრონის ძალა ხვდებოდა იმისს ხელს და ისე ძალიან მოქმედობდა სხეულზედ, რომ რამდენსამე ხანს კაცს ლაპარაკისა და მოძრაობის უნარს უკარგავდა. ქურდი, რასაკვირველია, სარგებლობდა ამ შემთხვევით აცლიდა მსხვერპლს ქისას, საათს, ძვირფასს ნივთებს და შემდეგ თავისთვის არხეინად მიდიოდა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 მაისი.

სოფია. როგორც ისმის, რუმინიის მთავრობამ უარჰყო ბოლგარიის გამომძიებლის მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ ხსენებულ გამომძიებელს ნება მისცემოდა სარაფოვის საქმის გამო დაპატიმრებული მაკედონელნი მოწმებად დაებარებინა.

საუტჰამპტონი. დღეს დილით აქ გემით ქ-ნი ბოტა მოვიდა. ის ჟურნალისტებს არ ელაპარაკა. ორანჟეს რესპუბლიკის მინისტრად ნამყოფის შვილმა ფიშერმა უთხრა „რეიტერის სააგენტოს“ წარმომადგენელს, რომ ქ-ნი ბოტა პირდაპირ ლონდონში მიდის, ხოლო იქიდან ჰოლანდიასა და ბელგიაში წავა; ქ-ნ ბოტას ჯერ არ დაუნიშნავს დრო ევროპაში წასასვლელადაო. მე ვერც უარვყოფ და ვერც ნამდვილად ვაღვიარებ იმ ცნობას, ვითომც ქ-ნი ბოტა ზავის ჩამოსაგდებად მოვიდა ევროპაშიო; ფიშერს ინგლისელებმა პაიოსანი სიტყვა ჩამოართვეს და ნება მისცეს, რომ ქ-ნი ბოტა ევროპაში გააცილოს და თავისი მამა, აბრამ ფიშერი, ნახოს ბრიუსელში.

ტიანძინი. ჩინეთში რკინის გზის დასაცველად დატოვებული მუდმივი ჯარი ასე იქნება განაწილებული: პეკინის ნაწილს გერმანელი ჯარი დაიკავებს, ტაკუს ნაწილს—საფრანგეთისა და შანჰაიგუანის ნაწილს—ინგლისის ჯარი.

შანჰაი. გონკონგიდგან მოსულის გემის კაჩეგარი შავის ჭირით გახდა ავად. შანჰაიში ეს პირველი შემთხვევაა შავის ჭირით ავადმყოფობისა.

ბერლინი. კრეისერები „გეფინ“-ი და „ირენე“ იელისის დამდეგს აღმოსავლეთ-აზიიდგან გერმანიაში ბრუნდებიან.

კავშტადტი. პოლკოვნიკი სკობელლი გუშინ საღამოს თავს დაეცა ბურების ბანაკს მარკლი-ისტის ჩრდილოეთ-დასავლეთით 20 კაცი ტყვედ წაიყვანა, ხუთ ჩაიგდო 116 ცხენი, სამხედრო მასალა, სურსათი და სხვ. პოლკოვნიკმა უინდგემმა სტეინსბურგის მახლობლად იერიში მიიტანა ბურების რაზმზე და 262 კაცი ტყვედ წაიყვანა.

პრეტორია. გუშინ დილით, პრეტორიის მახლობლად პიტერმარიცბურგის რკინის გზაზე მატარებელი, რომლითაც ჯარი მიდიოდნენ, დაეჯახა მეორე მარიდგან მომავალ მატარებელს. 9 ჯარის კაცი მოკლულ იქმნა და რამდენიმე კაცი დაშავდა.

27 მაისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ბრძანა: 1) ნება მიეცეს სახელმწიფო საბჭოსთან დაარსებულ საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგინოს სახელმწიფო საბჭოს კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი სამოქალაქო სამსახურის წესდების შეცვლის შესახებ; ამასთანავე გაუგზავნოს პროექტი სხვა-დასხვა უწყებას თავიანთის აზრის გამოსათქმელად, ეს აზრი პირდაპირ სახელმწიფო საბჭოს უნდა წარედგინოს. 2) ხსენებული კომისია, თავის დანიშნულების შესრულების შემდეგ გაუქმებულ იქმნას და ყოველი მისი საქმე გარდაეცეს სახელწიფო კანცელარიას. 3) გამოეცხადოს მათის უდიდებულესობის მადლობა კომისიის წევრთ ერთგულ სამსახურისათვის.

სემიპალატინსკი. 26 მაისს, დილის 10 საათზე, საშინელის ქარის დროს ცეცხლი წაეკიდა ქალაქ პავლოდარს. დაიწვა ქალაქის ორი მესამედი, ეკლესია, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორა, სამაზრო სამმართველო და ჩაზინა. ფული და საბუთის ქაღალდები გადაარჩინეს. დაზარალებულთ შემწეობა ესაჭიროებათ. პავლოდარში გუბერნატორი წავიდა.

შანჰაი. იუწყებიან იმპერატორის ბრძანების შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ სიცხეებისა და დედოფლის მოხუცებულობის გამო იმპერატორის ოჯახის დაბრუნება პეკინში გადაიდება 19 აგვისტომდეო. ვარსკვლავთ-მრიცხავთ ეს დღე სახეიროდ უცვნიათ.

ბერლინი. საღამოზედ ქალაქის თვით-მმართველობამ ნადიმი გაუმართა ცეცხლის მქრობთა კრების წევრთ. ობერ-ბურგომისტი კირშნერი მიესალმა სტუმრებს.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩმა როგლმა დეპეშით სთხოვა პეკინიდგან გარეშე საქმეთა მინისტრს გეის, რომ ნება მიეცეს მას წარუდგინოს ელჩების კრებას წინადადება იმის შესახებ, რომ ჩინეთის მიერ საზღაურის გადახდის საქმე გადაეცეს განსახილველად გაეგის სამედიცინო სასამართლოს. გეიმ დეპეშითვე თანხმობა გამოუცხადა ელჩს.

პეტერბურგი. ბირჟა, 26 მაისს. 5% და 4½% გირავნობის ფურცლები ტფილისისა და 6% და 5% გირავნ. ფურც. ქუთაისის საადგილმამულო ბანკისა და აქციები ა. ი. მანთაშევის ამხანაგობისა ბირჟაზე არ გაუტანიათ გასასაღებლად.

28 მაისი

პეტერბურგი. სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების კომეტ თავადი დიეანი 25 მაისს გარდაიცვალა საზღვარ-გარეთ, აკვაში.

ჩარჯუი. ბარაკლისისა და დეკანოზის ბოკროვსკის წარმოთქმული სიტყვის შემდეგ. გენერალ-გუბერნატორისა, ბუხარის ემირისა, გზათა სამინისტროს და სხვა უწყების წარმომადგენელთა თანადასწრებით, გახსნილ იქმნა სამუდამო ხიდი ამუ-დარიაზე. მატარებელი, რომელშიაც იქ მეოფნი ისხდნენ, მეორე ნაპირზედ გავიდა, სადაც საუზმე იქმნა გამართული. გენერალმა ივანოვმა ხელმწიფის სადღეგრძელო წარმოსთქვა. შემდეგ წარმოსთქვეს სადღეგრძელოები ემირისა და სხვათა. 7 საათზედ სადილი იქმნა გამართული ბუხარის ემირთან.

ბერლინი. ბერლინის ბირჟის საფონდო განყოფილებამ დღეს დაადგინა საქმეს ჩაურთოს რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზების მოწმობათა პატრონების პროტესტი. ეს პატრონნი წინააღმდეგნი ყრიან, რომ შემდეგში რუსეთის ქაღალდები ბირჟაზედ კაიტანონ.

იოკაგამა. ნაშუადღევს ვალდერზეე კობეში მოვიდა „Hertha“-ს გემით და მაშინვე ნაპირზედ გადავიდა. ვალდერზეე ბურგომისტრის სიტყვის მოსმენისა და საპასუხო სიტყვის წარმოთქმის შემდეგ წავიდა გერმანიის სელჩოში, სადაც სადგომი მოუმზადეს, დღეს დიდით კოტოზედ ტოკიოსაკენ გზას გაუდგა.—კუნძულ კვეღზარტში მომხდარ არეულობის შესახებ სხვა-დასხვა ხმები დადის; მართალია ის, რომ ქრისტიანეთა და სხვა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ბრძოლები მოხდა.

პეკინი. ლიხუნჩანგმა მიიღო ნახევრად ოფიციალური დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ მეფის ოჯახობა პეკინში აგვისტოს გასულს დაბრუნდებაო.

შემოწირულება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ 25 და 26 მაისს გამართულ ბაზრობას შესწირეს:

მარიამ ბეკანის ასულმა ლაზარევისამ—1 მანეთი, ანნა სტეფანეს ასულმა ისარლოვისამ—ძველებური ოქროს საყურეები; ანნა ივანოვმა — ოქრო-მკედით ნაკერი მშვენიერი ბალიში და ორი ნაკერი სამუთაქე.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»

მეოთხე სამკითხველო

გადავიდა ვერის ხიდის ჩასავალზე, ყორლანოვის ქუჩაზე, მებურნეთოვის სახლში, № 1. სამკითხველო ღიაა ყოველ დღე, დილის 9—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდის. (2—უ—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Мая 1901 г. სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, დორის-შედიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე